ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 2

25 მარტი, 2022 წელი

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. ხონი

25 მარტი, 2022 წელი

2022 წლის 25 მარტს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში მოწვეული იქნა კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა **კომისიის თავმჯდომარე ზაზა ვაშაკიძე.** კომისიის წევრები: ბაჩანა ბასილაია, ლია ღაჭავა, მათე ჩანქსელიანი, არჩილ საღარაძე, ნინო კუხალაშვილი, გელა ჩოგოვაძე, ბესარიონ ჭელიძე, ნაზიბროლა გეგია.

სხდომა გახსნა და ქვორუმის არსებობა დაადასტურა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ვაშაკიძე. თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის შემდეგი დ ღ ი ს წესრიგი:

1. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 26 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**
2. **ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან „ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 მარტის №88 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 26 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ კომისიის წევრებს.

მსჯელობის შემდეგ კომისიის სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:
მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

კომისიამ გადაწყვიტა საკითხი გატანილ იქნას ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი: ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან „ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ" ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 მარტის №88 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის წევრმა ბაჩანა ბასილაიამ განმარტა, რომ წარმოდგენილ პროექტში უფრო მართებულად მიმაჩნია ცვლილებები ასახული იყოს შემდეგი სახით: ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით შესაბამისი დაწესებულებისთვის განცხადებით მიმართვამდე პერიოდში იყვნენ რეგისტრირებულნი საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში, მაგრამ განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის

განმავლობაში (2 წლის ასაკის შემთხვევაში ბოლო 2 წლის) უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის დროისთვის ხონის მუნიციპალიტეტში არიან რეგისტრირებულნი;

ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, შესაბამისი დაწესებულებისთვის განცხადებით მიმართვის დროს ხონის მუნიციპალიტეტში იყვნენ რეგისტრირებულები, თუ ისინი განცხადებით მიმართვამდე პერიოდში არცერთხელ არ ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში;

იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ ხონის მუნიციპალიტეტი.

კომისიის თავმჯდომარემ ზაზა ვაშაკიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის ირგვლივ ვიმსჯელოთ საკრებულოს სხდომაზე.

მსჯელობის შემდეგ კომისიის სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:
მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

კომისიამ გადაწყვიტა საკითხი გატანილ იქნას ბიუროს სხდომაზე.

საკითხების ამოწურვასთან დაკავშირების კომისიის თავმჯდომარემ კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ზ.ვაშ-ძ ზაზა ვაშაკიძე